პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 307 (10393) | პარასკევი, 30 დეკემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში ა:

ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში მოგზაურობის შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის მოხსენება (1-ლი, მე-2 და მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მეორე გაერთიანებული სხდომა (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია (მე-3 და მე-4 გვერდი).

ლატვიელი ხალხის ხელოვნების აყვავება. საბოლოო კონცერტი სსრ კავშირის დიდ თეატრში (მე-4 გვერდი).

რუსეთის პირველი რევოლუციის გმირ მონაწილეთა ხსოვნისათვის. თბილისში მშრომელთა ... ერთობ-საქალაქო მიტინგი (მე-4 გვერდი).

მოსკოვიდან ლიბერიაში გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია (მე-4 გვერდი).

კომუნიკე საჰაერო მიმოსვლის თაობაზე საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შესახებ (მე-4 გვერდი).

ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში მოგზაურობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეს სესია მუშაობს 1955 წლის დამლევს. ეს იყო წელი დიდი საერთაშორისო მოვლენებისა, რომლებმაც სერიოზული ძვრები გამოიწვიეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

მიმავალი წელი ისტორიაში დარჩება როგორც ამ ბოლო დროს შექმნილ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში გარკვეული გარდატეხის წელი. ამ გარდატეხის მიღწევაში ცოტა დამსახურება როდი ეკუთვნის საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცება და ქვეყნებს შორის ფართო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარება, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისა.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკისათვის 1955 წელი იყო წელი განსაკუთრებით აქტიური და მტკიცე ბრძოლისა მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაფართოებისათვის. ახლა ვერავინ ვერ უარყოფს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებანი სერიოზული წარმატებით დაგვირგვინდა.

ეჭვი არ არის, რომ მშვიდობის განმტკიცების საქმეში დიდი წვლილი იყო საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარება ინდოეთთან, ბირმასთან და ავღანეთთან, იმ ქვეყნებთან, სადაც მე და ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამას წინათ ვიყავით. ეს მოგზაურობა საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის მკაფიო გამოხატულება და დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენებით მდიდარი 1955 წლის ღირსეული დაგვირგვინებაა. **(ტაში).**

ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ჩვენი მოგზაურობის უშუალო შედეგი იყო საბჭოთა კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცება და განვითარება, საბჭოთა ხალხის შემდგომი დაახლოება დიდ ინდოელ ხალხთან, ბირმისა და ავღანეთის ხალხებთან. მაგრამ ამით როდი ამოიწურება მისი მნიშვნელობა.

მოგზაურობას მიეცა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა, რომელიც უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატება, რომ კვლავ და კვლავ დადასტურდა სისწორე საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ლენინური პრინციპისა—სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპისა. მოგზაურობამ თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ეს პრინციპი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის განვითარების საიმედო საფუძველია.

ცნობილია, რომ ჩვენი დროის საერთაშორისო ცხოვრებაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებათ აზიის ქვეყნებს, რომლებშიც ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. მთელი რიგი საუკუნეების განმავლობაში აზიის ბევრი ქვეყნის მოსახლეობა განიცდიდა, ხოლო ზოგიერთი ხალხი დღემდეც განიცდის, მძიმე კოლონიურ ჩაგვრას. ესწრაფვიან რა გაამართლონ თავიანთი პოლიტიკა და თავიანთი ბატონობა აზიის ხალხებზე, კოლონიზატორები ცდილობდნენ და ცდილობენ წარმოადგინონ ეს ხალხები კულტურულად და საზოგადოებრივად ჩამორჩენილ ხალხებად. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აზიის ხალხების ისტორიული განვითარება დაიწყო მანამდე დიდი ხნით ადრე, სანამ ევროპის ხალხები გამოვიდოდნენ ისტორიულ ასპარეზზე. ხოლო თუ აზიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარება უკანასკნელ საუკუნეებში ფერხდებოდა და ჩამორჩა, ამაში ბრალი მიუძღვით არა აზიის ხალხებს, არამედ კოლონიზატორებს, რომლებმაც აზიის ქვეყნებში, და არა მარტო აზიაში, არამედ აფრიკაშიც, დაამკვიდრეს ძალადობაზე, ძარცვასა და მოსახლეობის ულმობელ ექსპლოატაციაზე დამყარებული მმართველობის სისტემა. კოლონიზატორებისათვის ასეთ სისტემას ზღაპრული სიმდიდრე მოაქვს, მაგრამ აზიისა და აფრიკის ჩაგრული ხალხებისათვის იგი მოასწავებს სიღატაკეს და მძიმე ტანჯვას.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ იგი სამუდამო ვერ იქნებოდა. ყველასათვის, ვინც თუნდაც ოდნავ იცნობს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, ცხადი იყო, რომ აზიის ქვეყნებში გარდუვალად გაჩაღდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და რომ მას სულ უფრო მეტი გაქანება მიეცემოდა. ასეც მოხდა. აზიის ხალხებმა იწყეს გამოღვიძება და წელში გამართვა. ამ დიად გამოღვიძებას ხელი შეუწყო დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენს ქვეყანაში და კოლონიური სახელმწიფოების დასუსტებამ პირველი და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შედეგად.

ლაპარაკობდა რა აღმოსავლეთის ქვეყნებზე, ჩვენი დიდი მასწავლებელი ვ. ი. ლენინი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ამ ქვეყნების ხალხთა მასები გარდუვალად აღდგებიან, რათა ბოლო მოუღონ თავიანთ არასრულუფლებიან მდგომარეობას და გახდნენ ახალი ცხოვრების დამოუკიდებელი მონაწილენი და შემოქმედნი. დადგება დრო, ამბობდა ლენინი, როცა აზიის ასეულ მილიონნობით მოსახლეობა მსოფლიო ისტორიის აქტიური ფაქტორი გახდება და მონაწილეობას მიიღებს მთელი კაცობრიობის ბედის გადაწყვეტაში. ასეთი დრო დადგა. დღეს ჩვენ იმის მოწმენი ვართ, თუ როგორ ინგრევა კოლონიური სისტემა როგორც აზიაში, ისე მთელ აღმოსავლეთში.

დიდმა ჩინელმა ხალხმა, რომელსაც ჩინეთის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, თავისი ქვეყანა გამოიყვანა ეროვნული აღორძინებისა და დამოუკიდებლობის ფართო გზაზე, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე. ჩინელი ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მთელ ვითარებაზე აზიასა და აღმოსავლეთში. მან ახალი გაქანება მისცა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

კოლონიური რეჟიმის უღელი მოიშორეს დიდი ინდოეთის ხალხებმა და ბირმის ხალხებმა. თავიანთი ქვეყნების აღორძინებისა და განახლებისადმი მისწრაფებით აღფრთოვანებული ეს ხალხები ახლა დამოუკიდებელი ეკონომიური და სახელმწიფოებრივი განვითარების პერიოდში შევიდნენ.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზას დაადგნენ ინდონეზია და აღმოსავლეთის მთელი რიგი სხვა ქვეყნები. ფართოვდება მოძრაობა ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის არაბთა ქვეყნებში. აქტიურად იბრძვიან თავიანთი განთავისუფლებისათვის აფრიკის ხალხები.

ამხანაგო დეპუტატებო! ნ. ს. ხრუშჩოვმა და მე სამი კვირა დავყავით ინდოეთში. მთელი ამ დროის განმავლობაში, დაწყებული იმ მომენტიდან, როდესაც ჩვენ პირველად დავდგით ფეხი ინდოეთის მიწაზე, და ამ სტუმართმოყვარე ქვეყნიდან წამოსვლამდე, ჩვენ გარემოსილი ვიყავით ინდოელი ხალხის მეგობრობითა და სიყვარულით. ეს ხალხი უაღრესად მხურვალე მეგობრულ გრძნობებს იჩენდა ჩვენდამი და ენთუზიაზმით მიესალმებოდა ჩვენი სახით საბჭოთა კავშირს. **(ხანგრძლივი ტაში).** სწორედ ამიტომ ჩვენს მოგზაურობას ინდოეთში შეიძლება ეწოდოს დიდ ინდოელ ხალხთან შეხვედრა. **(ტაში).**

როდესაც ინდოეთში მივდიოდით, ჩვენ ვიცოდით, რომ ეს არის ჩვენი მეგობარი ქვეყანა და რომ გულთბილი შეხვედრა მოგველოდა. მაგრამ იმან, რაც ვნახეთ და გავიგონეთ, ჩვენს ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. დელში ჩასვლისას თვითმფრინავიდან რომ გამოვედით, ჩვენ დავინახეთ შეხვედრი პირები პრემიერ-მინისტრის ბატონ ნერუს მეთაურობით და ხალხის თვალუწვდენი მასები, გავიგონეთ მრავალი ათასი ხმის გულუყვეტელი გუგუნი. შეკრებილნი ხმამაღლა წარმოთქვამდნენ ჩვენთვის უცნობ სიტყვებს თავიანთ დედაენაზე. მაგრამ გასაგები იყო, რომ ეს არის მეგობრობისა და სიხარულის სიტყვები, — ისე მხურვალედ და გულწრფელად გაისმოდა ეს სიტყვები. ჩვენ ვიგრძენით, რომ ჩავედით საბჭოთა ხალხის ჭეშმარიტ მეგობრებთან, ჩვენს ძმებთან. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს შესახვედრად დელში რამლილის მოედანზე გამოვიდა ერთ მილიონამდე კაცი. ეს დაუვიწყარი სანახაობა იყო. დიდი მოედანი ღელავდა, ყოველი მოსი კუთხიდან ისმოდა მისასალმებელი შეძახილები, პლაკატებზე ვკითხულობდით რუსულ ენაზე დაწერილ სიტყვებს: „ინდოელები და რუსები ძმები არიან!“ **(ტაში)**, „გაუმარჯოს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“ **(ტაში)**, „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!“ **(ტაში)**, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო საბჭოთა კავშირიდან!“ **(ტაში).** მისალმების ეს სიტყვები აღმომხდარი იყო ინდოელი ხალხის წრფელი გულიდან.

ჩვენ სიამაყით ვგრძნობდით, რომ ენთუზიაზმი, რომლითაც ინდოელი ხალხი შეგვხვდა, ეკუთვნის ჩვენს სახელოვან სამშობლოს, დიდ საბჭოთა ხალხს, რომელმაც თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მოახდინა რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, გაანადგურა მრავალი გარეშე და შინაური მტერი და, განუხრელად მიჰყვება რა ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზს, ააშენა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. **(ტაში).**

ინდოელი ხალხი ჩვენი სახით მხურვალედ მიესალმებოდა საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომლებმაც დიდი სამამულო ომის წლებში ფაშისტთა ურდოებთან სასტიკ ბრძოლაში დაიცვეს თავიანთი მონაპოვარნი და ახლა ბეჯითი შემოქმედებითი შრომით აშენებენ ახალ კომუნისტურ საზოგადოებას. **(ტაში).**

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენი ქვეყნის მიღწევები, მისი წარმატებანი და გამარჯვებანი მახლობელი და გასაგებია ინდოელი ხალხისათვის, რომ ეს ხალხი მათ მხურვალედ, სულით და გულით მიესალმება.

შემდეგ, არ შეიძლება აუღელვებლად გავიხსენოთ შეხვედრები ინდოელ ხალხთან ბომბეიში, პუნაში, კოიმბატორში, ბანგალორში, მადრასში, ჯაიპურში, სრინაგარსა და სხვა ქალაქებში. მაგრამ ყველაზე დაუვიწყარი, ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება დატოვა ჩვენს მეხსიერებაში კალკუტის მოსახლეობასთან შეხვედრამ. ჩვენს ჩასვლამდე ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე იქ მიეშურებოდნენ ადამიანები ახლომახლო ქალაქებიდან და სოფლებიდან. კალკუტაში ჩამოვიდა პრემიერ-მინისტრი ბატონი ნერუ. გაზეთები შემდეგ წერდნენ, რომ ქალაქის ქუჩებში ჩვენ შეგვხვდა სამ მილიონზე მეტი კაცი. ეს იყო ზღვა ხალხი, და ეს ზღვა ღელავდა და ხმაურობდა. აქ ჩვენ გვესმოდა მისალმების მხურვალე სიტყვები, საბჭოთა კავშირისადმი მეგობრობისა და სიყვარულის სიტყვები. ჩვენ გვიამბობდნენ, რომ კალკუტაში გამართული მიტინგის მრავალი მონაწილე მოედანზე მოვიდა მიტინგის წინადღეს, რომ დაეკავებინა ადგილი ტრიბუნასთან უფრო ახლო.

ჩვენდამი, საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებისადმი მეგობრული გრძნობების გამოვლინებას ჩვენ ვხედავდით არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ პატარა სოფლებშიც, სადაც კაცები, ქალები, მოხუცები და ბავშვები გამოდიოდნენ გზაზე, რათა შეგვხვედროდნენ და მოგვსალმებოდნენ. აქაც გვესმოდა სიხარულის შეძახილები ჩვენი ქვეყნის პატივსაცემად.

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეხვედრამ ინდოეთის პარლამენტის წევრებთან, რომლებიც მეტად გულთბილად შეგვხვდნენ, დიდი ყურადღებით მოისმინეს ჩვენი სიტყვები და მხურვალედ მიესალმნენ მათ. გულთბილად და სტუმართმოყვარულად შეგვხვდნენ ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწენი და იმ შტატების მთავრობები, რომლებსაც ჩვენ ვესტუმრეთ. ისინი დიდად ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ჩვენი სტუმრობა ინდოეთში სასიამოვნო და სასარგებლო ყოფილიყო.

დელში ჩვენ ინდოეთის პრეზიდენტის ბატონ პრასადის სტუმრები ვიყავით. ვცხოვრობდით მის რეზიდენციაში. ბატონმა პრასადმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ მე და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს და ჩვენს თანმხლებ ამხანაგებს ყოველმხრივ კარგი პირობები გვქონოდა მის რეზიდენციაში. ჩვენ ბატონ პრასადთან რამდენიმე საუბარი გვქონდა. გადავეცით მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის წერილი. ბატონმა პრასადმა დიდი მადლობა გამოთქვა ამ წერილის გამო და მოგვცა საპასუხო წერილი ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვისათვის გადასაცემად.

ჩვენ შეხვედრები გვქონდა ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტთან გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწესთან ბატონ რადჰაკრიშნანთან, რომელიც როგორც პარლამენტის თავმჯდომარე გულთბილად შეგვხვდა და ბევრი რამ კარგი თქვა თავის სიტყვაში საბჭოთა კავშირის შესახებ.

საჭიროა განსაკუთრებით აღვნიშნოთ ჩვენი შეხვედრები ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან, ჩვენი ეპოქის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწესთან ბატონ ნერუსთან. **(ხანგრძლივი ტაში).** ყველა ჩვენი შეხვედრა ბატონ ნერუსთან გამსჭვალული იყო მეგობრობის გულწრფელი გრძნობით. სადაც უნდა ვყოფილიყავით, ყოველთვის ვგრძნობდით მის ყურადღებასა და ზრუნვას.

საბჭოთა ხალხისადმი სიყვარულისა და მეგობრობის მხურვალე და გულწრფელი გრძნობები გამოხატეს აგრეთვე ბირმის კავშირისა და ავღანეთის ხალხებმა, რომლებსაც ჩვენ უფრო გვიან შევხვდით. ბირმის ქალაქებსა და სოფლებში, ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში მოსახლეობა სიხარულითა და სიმპათიით მიესალმებოდა ჩვენი სახით საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა ხალხს.

დელში და ინდოეთის სხვა ქალაქებში, რანგუნსა და ქაბულში ამბობდნენ, რომ დღემდე ამ ქალაქებს არ ახსოვთ ისეთი მეგობრული და გრანდიოზული შეხვედრები, როგორიც იყო შეხვედრა ჩვენთან — საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებთან.

ინდოეთში ყოფნის დროს ჩვენ გავეცანით ინდოელი ხალხის ცხოვრების ბევრ მხარეს. ინდოეთის მთავრობამ ყველა შესაძლებლობა მოგვცა, რომ გვენახა ინდოეთის დასავლეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი. მოგზაურობის დროს სერგი ვლადიმერის-ძე ილიუშინის კონსტრუქციის ჩვენი ილ-14 პ საბჭოთა თვითმფრინავით სულ ვიფრინეთ 22.500 კილომეტრი, მათ შორის მარტო ინდოეთში 10.000-მდე კილომეტრი. ჩვენ ვიყავით ინდოეთის სხვადასხვა რაიონებში, ბევრ ქალაქსა და სოფელში, ვნახეთ მშენებლობანი და სამრეწველო საწარმოები, ვიყავით სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ფერმებში, ვნახეთ ბევრი კულტურული დაწესებულება, გავეცანით ინდოეთის ძველი და მდიდარი კულტურის შესანიშნავ ძეგლებს.

თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ინდოეთს ინგლისელი კოლონიზატორები ფლობდნენ და მათთვის ეს მდიდარი ქვეყანა მეტროპოლიის აგრარულ-სანედლეულო დანამატი, სამრეწველო ნაწარმის გასაღების ბაზარი იყო. ბუნებრივია, რომ ინგლისელები არ ცდილობდნენ განვითარებინათ ინდოეთის მრეწველობა. ასე იქცევა ყველა კოლონიზატორი, რომელთა მიზანია რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ კოლონიებში და არაფერი, ან თითქმის არაფერი არ მისცენ სანაცვლოდ.

განთავისუფლდა რა კოლონიზატორთა უღლისაგან და აღადგინა რა თავისი დამოუკიდებლობა, ინდოეთის ხალხი თავისი მთავრობის ხელმძღვანელობით შეუდგა თავისი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ამ გზაზე მიღწეულია პირველი წარმატებანი. ჩვენ დავათვალიერეთ და გავეცანით ინდოეთის ძირითად სამრეწველო რაიონს, რომელიც უკანასკნელ წლებში შეიქმნა. იგი მდებარეობს ბიჰარისა და დასავლეთ ბენგალიის შტატების შესაყარზე მდინარე დამოდარის ხეობაში. აქ განლაგებულია ინდოეთის მეტალურგიული, მანქანათმშენებელი და ქიმიური მრეწველობის ნაწილი, ინდოეთის შახტები და მაღაროები.

ქალაქ ჩიტარანჯანში ჩვენ გავეცანით ახალ ორთქლმავალმშენებელ ქარხანას. ეს არის სახელმწიფო საწარმო, სადაც ორთქლმავლების გამოშვება დაიწყო 1950 წელს. ჩვენი ჩასვლის მომენტისათვის ქარხანამ გამოუშვა თავისი მესამასე ლოკომოტივი. ინდოელები ამაყობენ ამ ქარხნით და იგი თავიანთი ქვეყნის მანქანათმშენებლობის პირმშოდ მიაჩნიათ. ქარხანას რომ გვიჩვენებდნენ, ინჟინრები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ ორთქლმავლების დეტალების 80 პროცენტზე მეტს თვითონ ქარხანა აწარმოებს.

ჩვენ ვიყავით აგრეთვე ქალაქ სინდრის ხელოვნური სასუქის ქარხანაში. ესეც ახალი სახელმწიფო საწარმოა, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდოეთის ეკონომიკაში, ხოლო ინდოეთის სოფლის მეურნეობას ძალიან სჭირდება მინერალური სასუქები. ქარხნის გარშემო შექმნილი ქალაქი სინდრი სულ ოთხიხუთი წელია არსებობს.

ინდოეთი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, მისი მოსახლეობის $^3/_4$-ზე მეტი მიწათმოქმედებას მისდევს. ინდოეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა მინდვრების ხელოვნური რწყვა. ურწყავი მინდვრები მცირე მოსავალს იძლევა, და ინდოეთის მთავრობა ბევრ რამეს აკეთებს იმისათვის, რომ შექმნას მძლავრი საირიგაციო სისტემა.

ჩვენ დაწვრილებით გავეცანით ინდოეთის ერთ-ერთ უდიდეს მშენებლობას — ბჰაკრა-ნანგალის სისტემას, სადაც შენდება დიდი კაშხალი და აშენდება ელექტროსადგური. ეს დიდი მშენებლობა ფართოდ და გაბედულად არის მოფიქრებული, საინტერესოდ გადაჭრილია მთელი რიგი პრობლემები. მაგრამ ყველაზე საინტერესო, რაც აქ ვნახეთ, იყო ადამიანები — ამ ნაგებობის მშენებელი მუშებისა და ინჟინრების უდიდესი შრომითი ენთუზიაზმი. ბჰაკრა-ნანგალის მშენებლობამ მოგვაგონა ჩვენი პირველი ხუთწლედის ვითარება, როცა ჩვენს პირველ მძლავრ საწარმოებს ვქმნიდით.

ინდოეთის მთავრობა ეძებს გზებს, რომ კერძო მიწათსარგებლობის ფარგლებში მიაღწიოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას. ამ მიზნით მთავრობა სოფლად ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებსაც ეწოდება „სათემო განვითარების პროგრამა“ და „ეროვნული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“. ჩვენ გვითხრეს, რომ ეს პროგრამები ამჟამად გავრცელებულია ინდოეთის სოფლების დაახლოებით 20 პროცენტზე და რომ მეორე ხუთწლიანი გეგმით განზრახულია აგრარული განვითარების ეს სისტემა გავრცელდეს მთელ ინდოეთში.

ჩვენ ვიყავით მთელ რიგ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ფერმებში. ესენი პატარა, კარგად ორგანიზებული საწარმოებია, რომლებიც, ჩვენი აზრით, უთუოდ ასრულებენ საცდელ მეურნეობათა თავიანთ დადებითს როლს.

ინდოეთში ყოფნისას ჩვენ დავრწმუნდით, რომ ინდოელ ხალხს, რომელიც განთავისუფლდა კოლონიზატორთა უღლისაგან, უნარი შესწევს გაბედულად იაროს წინ სამრეწველო პროგრესის გზით, ეკონომიურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გზით. ამასთან ერთად ჩვენ კვლავ და კვლავ დავრწმუნდით, რომ ინდოელი ხალხი დიდად ესწრაფვის მშვიდობას და სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობას.

უკვე იმან, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ბატონი ნერუ საბჭოთა კავშირს ეწვია, ცხადყო საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ინტერესთა ერთობა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის პირველი ერთობლივი განცხადებით, რომელიც ხელმოწერილ იქნა მოსკოვში მიმდინარე წლის 22 ივნისს.

პრემიერ-მინისტრ ბატონ ნერუსთან და ინდოეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან ჩვენი საუბრების დროს, რომლებიც გაიმართა უკვე დელში ჩვენი ყოფნისას, ჩვენ კვლავ გავუზიარეთ ერთმანეთს აზრები, როგორც საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საკითხებზე, ისე უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზეც. ბატონ ნერუსთან და ინდოეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან ჩვენი მოლაპარაკების შედეგი იყო 13 დეკემბერს ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი განცხადება.

ამ ისტორიულ დოკუმენტში, რომელსაც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, ორივე მთავრობამ დაადასტურა, რომ ემხრობა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, თავდაუსხმელობის, რაიმე ეკონომიური, პოლიტიკური ან იდეოლოგიური ხასიათის მოტივებით ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. ეს პრინციპები საიმედო საფუძველია სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ თუ ამ პრინციპებს მიიღებენ სხვა ქვეყნებიც, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი, ეს ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და ხალხთა შორის საჭირო ნდობის დამყარებას.

დელში ხელმოწერილ განცხადებაში საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მთავრობებმა დაგმეს გამალებული შეიარაღება, რომელიც ამჟამად წარმოებს და რომელიც სულ უფრო საშიშ მასშტაბს იღებს, და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მის შეწყვეტას, ხალხთა განთავისუფლებას სამხედრო ხარჯების მძიმე ტვირთისაგან. მთლიანად გაითვალისწინეს რა ისეთი მდგომარეობის საშიშროება, როცა სისტემატურად და განუწყვეტლივ გროვდება ატომური და წყალბადის იარაღი, ორივე მთავრობამ მხარი დაუჭირა ამ იარაღის უთუო აკრძალვას და კაცობრიობის განთავისუფლებას აურაცხელი მატერიალური და ადამიანთა მსხვერპლის გამომწვევი ატომური ომის წინაშე შიშისაგან.

საბჭოთა კავშირი მუდამ მოითხოვდა და მოითხოვს, რომ ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას, დიდოს საერთაშორისო შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის, ისევე როგორც მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის, მათ შორის რაკეტის იარაღის (რომელიც უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით განვითარდა და, შეიძლება ითქვას, საკონტინენტთაშორისო იარაღი ხდება) აკრძალვის შესახებ. საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ 1955 წლის მაისში შეიტანა წინადადება ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე. ამ წინადადების განხორციელება არსებითი წვლილი იქნებოდა მშვიდობის საქმეში. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში ინდოეთის მთავრობა ჩვენი თვალსაზრისის მსგავს თვალსაზრისს ადგას.

ინდოეთში ჩვენი საუბრების შედეგად მივაღწიეთ სრულ ურთიერთგაგებას იმ საკითხში, რომ სხვა ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული საზღვრო ბლოკების შექმნის პოლიტიკა, რომელსაც ზოგიერთი სახელმწიფო ახორციელებს, აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას, ადიდებს ახალი ომის საფრთხეს და რომ ასეთი პოლიტიკა შეუთავსებელია ყველა სახელმწიფოს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების ინტერესებთან, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხები არ შეიძლება არ განიცდიდნენ შეშფოთებას ისეთ აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის გამო, როგორიც არის სეატო, როგორიც არის ამას წინათ შეკოწიწებული ბაღდადის პაქტი.

სეატო-ს სულისჩამდგმელნი ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი არიან. რაც შეეხება ბაღდადის სამხედრო დაჯგუფებას, ჩვენ კარგად ვიცით, რომ მის შექმნაში მთავარი როლი შეასრულა ინგლისმა. ბაღდადის პაქტი ახალი ფორმის კოლონიალიზმის გამოვლინებაა. ბაღდადის პაქტი თავისი საფუძვლით აგრესიულია, რასაც მოწმობს ამ სამხედრო დაჯგუფების მონაწილეთა ვალდებულებების ხასიათი. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა ხსენებულ დაჯგუფებაში ირანის ჩაბმასთან დაკავშირებით.

საბჭოთა მთავრობამ ირანის მთავრობის ყურადღება არაერთხელ მიაქცია იმას, რომ ირანის მონაწილეობა სამხედრო დაჯგუფებებში (დასავლეთის სახელმწიფოები დიდი ხანია ცდილობდნენ ჩაებათ ირანი ამ დაჯგუფებებში) შეუთავსებელია ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებასთან. ამასთან ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ გვსურს კარგი ურთიერთობა გვქონდეს ირანთან, ისევე როგორც სხვა მეზობელ ქვეყნებთან. სამწუხაროდ, ისინი, ვინც პასუხისმგებელია ირანის პოლიტიკისათვის, სხვა გზას დაადგნენ, შეუერთდნენ რა ბაღდადის პაქტს და ამით იკისრეს მძიმე პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობისათვის.

ჩვენ უარყოფთ, როგორც უსაფუძვლოს, ირანის მთავრობის ცდებს ისე დაგვიხატოს საქმე, თითქოს აღნიშნულ პაქტთან ირანის შეერთების მიზანი იყოს მშვიდობის განმტკიცება შუა აღმოსავლეთში. ამ მტკიცებაში იმდენივე სიმართლეა, რამდენიც იმის მტკიცებაში, თითქოს ატლანტიკის ბლოკის მიზანი იყოს ევროპის მშვიდობის განმტკიცება.

ჩვენ კმაყოფილებით მოვისმინეთ ირანის საპარლამენტო დელეგაციის მეთაურის ბატონ საედის განცხადება, რომელიც მან გააკეთა ამ ტრიბუნიდან, იმის შესახებ, რომ ირანის მთავრობასა და ხალხს გულწრფელად სურთ განამტკიცონ მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ იმას, რომ ბაღდადის პაქტის შექმნა და საბჭოთა კავშირის მეზობელი ქვეყნების ჩაბმა ამ პაქტში არ შეიძლება არ ეხებოდეს ჩვენი ქვეყნის უშიშროებას. ამის გამო საბჭოთა კავშირი ვალდებული იყო გაეკეთებინა საჭირო დასკვნები.

ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც ხელი მოვაწერეთ ინდოეთში ჩვენი ყოფნის დროს, დაგმობილია სამხედრო კავშირებისა და რეგიონალური სამხედრო

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გაგრძელება

ბლოკების შექმნის პოლიტიკა და ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მშვიდობა და ხალხთა ნამდვილი უშიშროება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ სახელმწიფოების კოლექტიურ ღონისძიებათა გზით.

საბჭოთა მთავრობამ და ინდოეთის მთავრობამ გამოთქვეს რწმენა, რომ მტკიცე მშვიდობა აზიაში შეუძლებელია, თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას არ მიეცა მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ორივე მთავრობამ გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა უსწრაფესად გადაჭრას შორეული აღმოსავლეთის სხვა პრობლემები, მათ შორის ტაივანისა და ჩინეთის სანაპირო კუნძულების პრობლემა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა დაკმაყოფილების საფუძველზე. ჩვენს ერთობლივ განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ ეს პრობლემები დაუყოვნებლივ გადაიჭრება შეთანხმების გზით.

ორივე ქვეყნის მთავრობებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა კორეის საკითხი გადაიჭრას კორეელი ხალხის ეროვნულ უფლებათა აღიარების საფუძველზე და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის ინტერესების შესაბამისად. აგრეთვე საჭიროა შესრულდეს ჟენევის შეთანხმებანი ინდოჩინეთის შესახებ. ცნობილია, რომ ამჟამად არის ცდები დაბრკოლება შეუქმნან ამ შეთანხმებათა შესრულებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ დარღვევას, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული საბჭოთა კავშირ-ინდოეთის 13 დეკემბრის განცხადებაში, „განსაკუთრებით ძმის შედეგები მოჰყვება ინდოჩინეთისათვის, ისე მთელი მსოფლიოსათვის“.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის შეხედულებათა მსგავსება აზიისა და შორეული აღმოსავლეთის გადაუჭრელ პრობლემებზე, ეჭვი არ არის, დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ამ პრობლემების მოწესრიგებას ხალხთა კანონიერი უფლებების აღიარების საფუძველზე და მშვიდობის დაცვის ინტერესების შესაბამისად.

ახორციელებენ რა მშვიდობის პოლიტიკას, საბჭოთა კავშირი და ინდოეთი წარმატებით თანამშრომლობენ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებში, რომელთა გადაჭრაზე მუშაობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა არა მარტო ორივე საბჭოთა სახელმწიფოს შეხედულებათა ერთობით ისეთ პრობლემებზე, როგორიც განიარაღებაა, არამედ აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობის საკითხშიც. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ინდოეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 16 სახელმწიფოს — ალბანეთის, იორდანიის, ირლანდიის, პორტუგალიის, უნგრეთის, იტალიის, ავსტრიის, რუმინეთის, ბულგარეთის, ფინეთის, ცეილონის, ნეპალის, ლიბიის, კამბოჯის, ლაოსისა და ესპანეთის მიღების შესახებ. ჩვენ ვიზიარებთ ბატონ ნერუს მიერ გამოთქმულ იმედს, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეთ დარჩნენ, მალე იქნებიან მიღებული მის წევრთა რიცხვში.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირი და ინდოეთი ერთნაირად აფასებენ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგებს, აგრეთვე ერთნაირად აფასებენ ამ სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ამჟამწინანდელ თათბირს. ჩვენსა და ბატონ ნერუს შორის მიღწეულია სრული ურთიერთგაგება იმის შესახებ, რომ საჭიროა განგრძობილ იქნას ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მაგვაჩნია რა მოლაპარაკება სადავო საკითხების გადაჭრის საუკეთესო მეთოდად.

ამხანაგო დეპუტატებო! დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის შეხედულებათა ერთობა წარმავალი მიზეზებითა და კონიუნქტურული მოსაზრებებით როდი აიხსნება, იგი გამომდინარეობს ორივე სახელმწიფოს ხალხების ძირეული ინტერესებიდან, ხალხებისა, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობასა და უშიშროებას.

საბჭოთა ხალხი, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ეწევა მშვიდობიან შრომას კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად, ასრულებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების გრანდიოზულ გეგმებს. ჩვენ არავის არ ვემუქრებოდით და არ ვემუქრებით, და საბჭოთა კავშირის სახით ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი მუდამ ჰპოვებს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისათვის მტკიცე მებრძოლს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ინდოეთის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა აგრეთვე ემყარება ღრმა საფუძვლებს, რომლებიც დაკავშირებულია ინდოეთის სახელმწიფოს განვითარების ხასიათთან. ჩვენ ვნახეთ, თუ რა დიდ ღონისძიებებს იღებს ინდოელი ხალხი, რათა განავითაროს თავისი ეკონომიკა. ბატონ ნერუსთან და ინდოეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან საუბრების დროს ჩვენ დავრწმუნდით, თუ რამდენად დიდია ამოცანები, რომლებიც დგას ინდოეთის წინაშე მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში. ინდოელი ხალხი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მშვიდობით, დაინტერესებულია იმით, რომ მშვიდობიანად შრომობდეს და ქმნიდეს მატერიალურ ფასეულობებს თავისი სამშობლოს კეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ინტერესთა ერთობა მშვიდობისათვის ბრძოლაში მტკიცე საფუძველია ორივე ქვეყანას შორის შექმნილი მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ინდოეთთან ჩვენი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობას და ამ საქმეში არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებას. ამიტომ ჩვენსა და ინდოეთის მთავრობას შორის მოხდა აზრთა გაზიარება ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზების შესახებ, ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობის გაფართოების შესახებ.

ჩვენ შეთანხმდით, რომ საბჭოთა კავშირი 1956 წლიდან სამი წლის განმავლობაში ინდოეთის მიაწვდის ერთ მილიონ ტონა შავი ლითონების ნაგლინს, მათ შორის 300 ათას ტონას პირველ წელს და 350 ათას ტონას ყოველწლიურად ორი მომდევნო წლის განმავლობაში. მხარეთა შეთანხმებით ინდოეთს აგრეთვე მივაწვდით სხვადასხვა სამრეწველო მოწყობილობას და სხვა საქონელს. მიღწეულია შეთანხმება საბჭოთა კავშირის მიერ ინდოეთის საქონლის შესყიდვის გადიდების შესახებ. ორივე მხარე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა მოეწყოს რეგულარული სანაოსნო ხაზები სსრ კავშირისა და ინდოეთის ნავსადგურებს შორის და დამყარდეს საჰაერო მიმოსვლა ჩვენს ქვეყნებს შორის.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა ნიშნავს, კერძოდ, გამოცდილების გაზიარებას ქვეყნებს შორის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნებს შორისაც. ინდოეთში ჩვენი შეხვედრების დროს განვაცხადეთ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის გაუზიაროს ინდოეთს თავისი გამოცდილება და უწინარეს ყოვლისა სამეურნეო მშენებლობის გამოცდილება. ამასთან ჩვენ ვამბობდით, რომ არა გვსურს თავს მოვახვიოთ ვისმე ჩვენი გამოცდილება, მაგრამ თუ ჩვენი მეგობარი ინდოელი ხალხი მოისურვებს რამდენადმე გამოიყენოს ეს გამოცდილება, ჩვენ სიამოვნებით გავუზიარებთ მას. ჩვენ აგრეთვე გვსურს გამოვიყენოთ და კიდევაც უნდა გამოვიყენოთ ძრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ინდოეთის გამოცდილება.

ინდოეთთან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცება შეიძლება შეივსოს და კიდევაც უნდა შეივსოს ორივე ქვეყნის კულტურული ურთიერთობის განვითარებით, რის სურვილი ორივე მხარეს აქვს. ინდოეთში ყოფნისას დავრწმუნდით, თუ რა დიდი შემოქმედებითი უნარი აქვს ინდოელ ხალხს, რომელმაც შექმნა მატერიალური და სულიერი კულტურის მსოფლიოში ცნობილი ძეგლები, ეროვნული ხუროთმოძღვრების განუმეორებელი ნიმუშები, სასცენო ხელოვნების, ცეკვისა და მუსიკის საკუთარი შესანიშნავი სკოლა, რომელიც იცავს და ავითარებს ხალხური შემოქმედების ტრადიციებს.

თავის მხრივ ინდოეთში აღინიშნება დიდი მისწრაფება საბჭოთა კავშირთან კულტურული დაახლოებისადმი. ჩვენ მივესალმებით ამ მისწრაფებას და დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი დაახლოება სასარგებლო იქნება ორივე ხალხისათვის.

ინდოეთში ჩვენ ბევრი შეხვედრა და საუბარი გვქონდა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო ფერმების ხელმძღვანელებთან, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებთან, სულ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან. ყველა ისინი დიდ ინტერესს იჩენდნენ საბჭოთა კავშირისადმი, საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და საქმიანობისადმი. ბევრი მათგანი მოვიწვიეთ ჩვენს ქვეყანაში, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ უფრო ახლოს გაეცნონ საბჭოთა ხალხს, საკუთარი თვალით ნახონ, თუ როგორ ცხოვრობს და შრომობს იგი. ეჭვი არ არის, რომ ეს ხელს შეუწყობს მეგობრობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას, ჩვენი ხალხების კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოებას.

საზღვარგარეთის რეაქციული პრესისა და ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჩვენმა ჯულახდილმა განცხადებებმა გოას და ქაშმირის საკითხებზე.

როგორც ცნობილია, ინდოეთის ძველისძველ მიწა-წყალზე დღემდე არის პორტუგალიის პატარა კოლონია გოა. ინდოელი ხალხი სამართლიანად მოითხოვს ამ შეუწყნარებელი მდგომარეობის ლიკვიდაციას, მოითხოვს გოას განთავისუფლებას. საკმარისია დავხედოთ ინდოეთის რუკას და პორტუგალელ დამპყრობთა ამ „სამფლობელოებს“, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა სამართლიანი და კანონიერია ინდოეთის მთავრობის მიერ დაყენებული საკითხი, რომ ინდოეთის ეს ტერიტორია შეუერთდეს თავის დედა-სამშობლოს — ინდოეთს. საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს ინდოეთის ამ სამართლიან მოთხოვნას და მიაჩნია, რომ პორტუგალიის კოლონიის დატოვება ინდოეთის ტერიტორიაზე, ისევე როგორც საერთოდ კოლონიური წესების დატოვება ჩვენს დროში, სამარცხვინოა ცივილიზებული ხალხებისათვის. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

რაც შეეხება ქაშმირის პრობლემას, იგი, ეს პრობლემა, შექმნეს სახელმწიფოებმა, რომლებიც ამ რაიონში ისახავენ გარკვეულ სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებს. ქაშმირის საკითხში პაკისტანისათვის მხარდაჭერის საბაბით ზოგიერთი ქვეყანა ცდილობდა დამკვიდრებულიყო ინდოეთის ამ ნაწილში, რათა აქედან დამუქრებოდა და ზეგავლენა მოეხდინა ქაშმირის გარშემო მდებარე რაიონებზე. ცდილობდნენ ხელოვნურად მოეწყვიტათ ქაშმირი ინდოეთისაგან, გადაექციათ იგი უცხოეთის სამხედრო ბაზად.

ქაშმირის ხალხი გადაჭრით ილაშქრებს ამ იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. ქაშმირის საკითხი უკვე გადაჭრა თვით ქაშმირის ხალხმა, რომელსაც იგი მიაჩნია ინდოეთის რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად და რომელიც ესწრაფვის ინდოეთის ხალხთა ძმურ ოჯახში აშენოს ახალი დამოუკიდებელი ინდოეთი, იბრძოლოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).** ამაში ჩვენ ღრმად დავრწმუნდით ხალხთან შეხვედრების დროს სრინაგარში, ქაშმირის პატიჟცემულ პრემიერ-მინისტრთან ბატონ გულამ მუჰამედ ბაჰშისთან და მის კოლეგებთან საუბრების დროს.

საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს ინდოეთის პოლიტიკას ქაშმირის საკითხში **(ტაში),** რადგან იგი სავსებით შეესაბამება აზიის ამ რაიონში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. ჩვენ ეს განვაცხადეთ, როდესაც ქაშმირში ვიყავით, დავადასტურეთ ჩვენი განცხადება 14 დეკემბრის პრეს-კონფერენციაზე დელში და ვაცხადებთ ამას დღეს. **(ტაში).**

ინდოეთში ჩვენმა მოგზაურობამ კიდევ უფრო დააახლოვა ჩვენი ორი ქვეყანა, მნიშვნელოვნად განმტკიცდა მეგობრობა, რომელიც საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს აკავშირებს. ჩვენ წინათაც ვიცოდით, ხოლო ინდოეთში მოგზაურობის დროს კიდევ უფრო დავრწმუნდით, რომ ინდოელი ხალხი გულწრფელი, ძმური გრძნობებით ეკიდება საბჭოთა კავშირის ხალხებს. ჩვენი ქვეყნების პოლიტიკურმა და ეკონომიურმა თანამშრომლობამ ყოველმხრივი განვითარების ახალი მნიშვნელოვანი სტიმული მიიღო. უფრო დიდი შესაძლებლობანი შეიქმნა კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის გასაფართოებლად.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვუსურვებთ ჩვენს დიდ მეგობარს — ინდოელ ხალხს ყოველგვარ წარმატებას ინდოეთის ეკონომიკის აღმავლობაში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებაში, ინდოეთის რესპუბლიკის როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს განმტკიცებაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრობა და თანამშრომლობა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჩვენ კვლავაც განვავითარებთ და განვამტკიცებთ ამ დიად მეგობრობას. **(ტაში).**

ახლა შევეხები ბირმაში მოგზაურობას.

ბირმა დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზაზე გამოვიდა იმის შედეგად, რომ მთელი ხალხი თავდადებით იბრძოდა ინგლისელ კოლონიზატორთა საუკუნეობრივი ბატონობის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, იაპონელ მილიტარისტთა შესევის წინააღმდეგ, რომლებიც ულმობლად ძარცვავდნენ ბირმის ხალხებს და იტაცებდნენ მათს დოვლათს.

თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ბირმის ხალხმა სიმტკიცე და გმირობა გამოიჩინა. ეროვნული განთავისუფლების მტრების ხელით დაიღუპნენ ბირმის ხალხების ბელადი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სახალხო გმირი აუნგ სანი და მისი თანამებრძოლნი. მაგრამ ხალხმა მიაღწია მიზანს — დაიმსხვრა კოლონიური მონობის ბორკილი და შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო — ბირმის კავშირი. დაძლია რა კოლონიური ჩაგვრისა და ომით გამოწვეული ნგრევის შედეგებთან დაკავშირებული უდიდესი სიძნელენი, ბირმის ხალხი შეუდგა თავისი ქვეყნის ეკონომიკის აღდგენასა და განმტკიცებას.

ბირმის პრემიერ-მინისტრის უ ნუს ჩამოსვლამ საბჭოთა კავშირში მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში დასაბამი მისცა მჭიდრო მეგობრულ კონტაქტს ბირმის კავშირსა და საბჭოთა კავშირს შორის.

3 ნოემბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-ბირმის ერთობლივი განცხადება, რომელიც გამსჭვალულია მისწრაფებით — განმტკიცდეს ნდობისა და თანამშრომლობის სულისკვეთება საერთაშორისო ურთიერთობაში. ამ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის გულწრფელი და მეგობრული ურთიერთობა ემყარება მშვიდობიანი თანაარსებობის იმ ცნობილ ხუთ პრინციპს, რომლებიც უკვე აღიარეს მსოფლიოს ბევრმა სახელმწიფომ და ხალხმა და რომლებიც მთლიანად მიმართულია ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

ჩვენმა სტუმრობამ ბირმის კავშირში ამა წლის 1-დან 7 დეკემბრამდე, შეხვედრებმა ამ სტუმრთმოყვარე ქვეყნის ხალხებთან, პირადმა კონტაქტმა მის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ბირმა აქტიურად უჭერს მხარს სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობას, გმობს სამხედრო ბლოკების შექმნის პოლიტიკას და იბრძვის სახელმწიფოთა ერთობლივი კოლექტიური ღონისძიებებისათვის, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება.

1 დეკემბერს ჩვენ ჩავედით ბირმის დედაქალაქ რანგუნში, სადაც მეგობრულად, დიდი გულითადობით შეგვხვდნენ ქალაქის მოსახლეობა და ბირმის მთავრობის ხელმძღვანელნი პრემიერ-მინისტრ უ ნუს მეთაურობით. ასევე გულთბილად და სიხარულით გვხვდებოდა ბირმის ხალხი სხვა ქალაქებშიც, რომლებშიც ვიყავით ბირმაში ჩვენი ექვსი დღის მოგზაურობის დროს. რანგუნის გარდა, ჩვენ ვიყავით შანის სახელმწიფოში, რომელიც ბირმის კავშირში შედის, და მის დედაქალაქ ტაუნგჯში, აგრეთვე ქალაქ მანდალაიში, რომელიც სიდიდის მხრივ ბირმის მეორე ქალაქია. ბირმის ხალხი ყველგან გულითადად და გულწრფელად მიესალმებოდა საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირს და ბირმა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

განსაკუთრებით საამური შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე სტუდენტებთან და მასწავლებლებთან შეხვედრამ რანგუნის უნივერსიტეტში, რომელშიც რამდენიმე ათასი ბირმელი ქალიშვილი და ჭაბუკი სწავლობს. ახალგაზრდა თაობა ხალხისა, რომელმაც მოიშორა კოლონიური უუფლებობის უღელი, პირველ ნაბიჯებს დგამს, რათა შეიძინოს მეცნიერული ცოდნა, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ბირმამ დამოუკიდებლად იაროს წინ ხალხის მიერ არჩეული გზით, განავითაროს ეროვნული ეკონომია და კულტურა.

უნივერსიტეტის სტუდენტებმა განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინეს სიტყვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა, რომელმაც დაწვრილებით უამბო მათ საბჭოთა კავშირზე, ჩვენს ცხოვრებაზე, განათლების მდგომარეობაზე ჩვენს ქვეყანაში. დიდი ინტერესი გამოიწვია სიტყვის იმ ადგილებმა, სადაც დაგმობილი იყო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიზატორული პოლიტიკა და ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირი არ უჭერს მხარს კოლონიზატორთა პოლიტიკას და გადაჭრით ილაშქრებს მის წინააღმდეგ. ამ განცხადებამ, ისევე როგორც სიტყვის ბევრმა სხვა ადგილმა, სტუდენტთა და პროფესორთა აუდიტორიის დიდი მოწონება გამოიწვია.

ბირმაში ყოფნის დროს ჩვენ გვქონდა სასარგებლო შეხვედრები და საუბრები ბირმის კავშირის პრეზიდენტთან დოქტორ ბა უსთან, რომელსაც გადავეცით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის პირადი წერილი. დოქტორმა ბა უმ დიდი მადლობა გამოთქვა ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის წერილისათვის.

ჩვენ მთავრობის სახელით მოვიწვიეთ საბჭოთა კავშირში ბირმის თავდაცვის მინისტრი უ ბა სვე და მრეწველობის მინისტრი უ ჯო ნეინი. ორივე მინისტრმა მიიღო ეს მოწვევა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი შეხვედრები და საუბრები ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრთან უ ნუსთან. ეს შეხვედრები და საუბრები გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ამ შეხვედრების შედეგი იყო საბჭოთა კავშირ-ბირმის განცხადება, რომელიც ხელმოწერილ იქნა რანგუნში 6 დეკემბერს.

ამ განცხადებაში აღნიშნულია ორივე ქვეყნის შეხედულებათა ერთობა ძირითად საერთაშორისო პრობლემებზე, რომლებიც მოითხოვენ მოწესრიგებას, როგორიც არის: განიარაღების პრობლემა, ამასთან ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა, შორეული აღმოსავლეთის პრობლემა, ამასთან ის საკითხი, რომ საჭიროა დაკმაყოფილდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები ტაივანისა და ჩინეთის სანაპირო კუნძულების მიმართ, აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ორივე ქვეყნის მთავრობებმა კვლავ დაადასტურეს ერთსულოვანი აზრი, რომ ბლოკების შექმნის პოლიტიკა უნდა დაიგმოს, რომ მხოლოდ ასეთ ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა უწყობს ხელს ნდობისა და კეთილი ნების დამყარებას სახელმწიფოებს შორის. „საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცება და იმის უზრუნველყოფა, რომ ხალხებს ჰქონდეთ თავიანთი მოძალის რწმენა, — ნათქვამია საბჭოთა კავშირ-ბირმის განცხადებაში, — შეიძლება მიღწეულ იქნას არა ბლოკების შექმნის გზით, არამედ მხოლოდ ყველა ხალხის ერთობლივი და კოლექტიური ღონისძიებებით“.

გამოვლინდა აგრეთვე ორივე ქვეყნის მთავრობების შეხედულებათა ერთობა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის, აგრეთვე ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ამასწინანდელი თათბირის შედეგებთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირ-ბირმის 6 დეკემბრის განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ორივე ქვეყანას საჭიროდ მიაჩნია განაგრძონ ერთობლივი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა.

ბირმასთან ჩვენი ურთიერთობის საფუძველი მტკიცეა, რამდენადაც ორივე მხარე უაღრესად დაინტერესებულია თანამშრომლობის შენარჩუნებით და გაფართოებით მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის ბაზაზე.

ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა ბირმის კავშირთან ემყარება თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებს და გამორიცხავს იმას, რომ ერთმა მხარემ თავს მოახვიოს მეორეს პოლიტიკური ან რაიმე კაბალური პირობები. ამ პრინციპების სრული შესაბამისობით, რომლებსაც ბირმის კავშირის მთავრობაც იზიარებს, ჩვენ რანგუნში ყოფნის დროს ვაწარმოებდით მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირ-ბირმის თანამშრომლობის განმტკიცების შესახებ ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, კერძოდ, მოლაპარაკებას ბირმასა და სსრ კავშირს შორის ვაჭრობის გაფართოების შესახებ.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ საბჭოთა კავშირი ითანამშრომლებს ბირმის სასოფლო-სამეურნეო განვითარების პროგრამის მომზადებაში, ძირითადი საირიგაციო სამუშაოების განხორციელებასა და ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს შექმნაში. ბირმა თავის მხრივ მიჰყიდის საბჭოთა კავშირს ბრინჯს, ხოლო თუ ბრინჯის შესყიდული რაოდენობა ვერ აანაზღაურებს ჩვენი მიწოდების ღირებულებას, ამ შემთხვევაში ბირმა ისარგებლებს კრედიტის უფლებით, ე. ი. იმ უფლებით, რომ ნატურით გადასახდელები განაწილვადდეს მთელი რიგი წლების განმავლობაში ურთიერთშეთანხმებით.

ბირმის კავშირის ხალხისადმი კეთილი ნებისა და პატივისცემის ნიშნად ჩვენ საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელითა და დავალებით საჩუქრად შევთავაზეთ ბირმის კავშირის ხალხს ავაშენოთ და მოვაწყოთ რანგუნში სსრ კავშირის ძალებითა და სახსრებით ტექნოლოგიური ინსტიტუტი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ბირმის კავშირის მთავრობამ დიდად დააფასა მოტივები, რომელთა საფუძველზე საბჭოთა მთავრობამ გაკეთა ეს წინადადება, და ეს საჩუქარი მიიღო საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხისადმი უდიდესი მადლობის გრძნობით. **(ტაში).**

ბირმის კავშირის ხალხის სახელით პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ, თავის მხრივ, საბჭოთა კავშირს საჩუქრად შესთავაზა შესაბამისი რაოდენობით ბრინჯი და ბირმის წარმოების ზოგიერთი სხვა საქონელი. საბჭოთა კავშირის ხალხის სახელით ჩვენ მადლობით მივიღეთ ეს საჩუქარი. **(ტაში).**

ბირმის ხელმძღვანელი მოღვაწენი, აგრეთვე ბირმის ინტელიგენციის წრეები დიდად ესწრაფვიან იმას, რომ განვითარდეს კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ჩვენ განვაცხადეთ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განავითაროს კულტურული ურთიერთობა ბირმასთან, რამდენადაც ამას შეუძლია მხოლოდ სარგებლობა მოუტანოს ორივე ქვეყანას და ხელი შეუწყოს მათ შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ბირმის მთავრობამ კმაყოფილება გამოთქვა კეთილი ნების გამო, რომელიც საბჭოთა კავშირის მთავრობამ გამოიჩინა რანგუნის მოლაპარაკების მსვლელობაში. ჩვენი მხრივ ჩვენ ვუსურვებთ ბირმის კავშირს კოლონიური ჩაგვრისა და ომით გამოწვეული ნგრევის შედეგების უსწრაფესად აღმოფხვრას, ბირმელი ხალხის კონსოლიდაციასა და მჭიდროდ შეკავშირებას, შემდგომ წარმატებებს თავისი ეკონომიკის მშენებლობაში, რომელიც დამოუკიდებელი იქნება უცხო სახელმწიფოებისაგან, თავისუფალი იქნება იმ სიძნელეებისაგან, რასაც იგი ჯერ კიდევ განიცდის უცხოეთის ზოგიერთი სახელმწიფოს მიზეზთა, რომლებიც ცდილობენ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენონ ბირმა საერთაშორისო ბაზრებზე.

საბჭოთა კავშირისა და ბირმის ხალხები ერთსულოვნად ესწრაფვიან შეინარჩუნონ და განამტკიცონ მშვიდობა, უზრუნველყონ ხალხთა უშიშროება, კიდევ უფრო განავითარონ ხალხთა თანამშრომლობა და მეგობრობა. ჩემი და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნამ ბირმაში ამ ქვეყნის მთავრობის სტუმრებად, შეხვედრებმა ბირმის ხალხთან კიდევ უფრო დაახლოვა ერთმანეთთან საბჭოთა კავშირი და ბირმა. ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობასა და თანამშრომლობას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში სულ უფრო დიდი ფაქტორის მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ განმტკიცდეს და განვითარდეს ჩვენი ორი სახელმწიფოს მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ახლა შევეხები ავღანეთში ჩვენი მოგზაურობის შედეგებს.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ავღანეთში ამ ქვეყნის მეფის მთავრობის სტუმრებად ჩვენი ყოფნის მნიშვნელობა და შედეგი. ავღანეთთან საბჭოთა კავშირს აქვს საერთო საზღვარი 2.346 კილომეტრ მანძილზე და დიდი ხნის მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობით არის დაკავშირებული მასთან.

ეროვნული დამოუკიდებლობა ავღანელმა ხალხმა მოიპოვა ინგლისელ იმპერიალისტებთან გააფთრებულ ბრძოლაში, რომელშიც ცდილობდნენ თავის კოლონიად გადაექციათ ავღანეთი. მამაცმა ავღანელმა ხალხმა საბჭერ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში და 1919 წელს საბოლოოდ დაამკვიდრა თავისი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა. ავღანეთის დამოუკიდებლობის დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა იმან, რომ საბჭოთა სახელმწიფომ გაანადგურა ინტერვენტები შუა აზიაში.

ავღანეთს ყოველთვის უცვლელად უჭერდა მხარს საბჭოთა სახელმწიფო. ჩვენი ქვეყანა იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც ჯერ კიდევ 1919 წელს ცნო ავღანეთი როგორც სუვერენული სახელმწიფო. თავის მხრივ ავღანეთი იყო უცხოეთის ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც ცნო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო. უკვე ეს ფაქტები ცხადყოფენ, რამდენად ღრმად აქვს გადგმული ფესვები ამ ორი ქვეყნის კარგ ურთიერთობას. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეს კეთილმეზობლური ურთიერთობა სავსებით შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს.

ჩვენმა შეხვედრებმა ქაბულში მის უდიდებულესობასთან ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰთან, ავღანეთის პრემიერ-მინისტრთან ბატონ მუჰამედ დაუდთან და ავღანეთის სხვა თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეებთან ცხადყო, რომ მათ სურთ კვლავაც შეინარჩუნონ და განავითარონ კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის.

ავღანეთის მეფის მთავრობის ასეთ სურვილს ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ, რაც განვაცხადეთ კიდევაც ქაბულში. თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა ყოველივეს აკეთებდა და კვლავაც გააკეთებს, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ განმტკიცდეს და განვითარდეს ჩვენი ურთიერთობა ამ მეზობელ ქვეყანასთან. **(ტაში).**

ავღანეთის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეებთან აზრთა გაზიარების შედეგად გამოირკვა, რომ ორივე მთავრობა ისწრაფვის ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას. ჩვენ კმაყოფილებით დავადასტურეთ ორივე ქვეყნის მთავრობების შეხედულებათა ერთობა მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის განიარაღების პრობლემაზე და აზიისა და შორეული აღმ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის მოხსენების დასასრული

რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ერთობლივი განცხადებით, რომელიც ხელმოწერილია 18 დეკემბერს ქალაქ ქაბულში.

ქაბულში გამოსვლების დროს ჩვენ გამოვთქვით ჩვენი დამოკიდებულება პუშტუნისტანის საკითხისადმი, რომელიც მეტად აღელვებს ავღანელ ხალხს. პუშტუნისტანი ის ოლქია, სადაც ცხოვრობენ ავღანელი „დამოუკიდებელი ტომები". 1893 წელს ეს ოლქი შეუერთდა ბრიტანეთის იმპერიას, ხოლო 1947 წელს პუშტუნისტანი, მიუხედავად იქ მოსახლე ტომების ინტერესებისა, შეიყვანეს პაკისტანის შემადგენლობაში.

ჩვენ სამართლიანად და დასაბუთებულად მიგვაჩნია ავღანეთის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მისი მოსაზღვრე პუშტუნისტანის მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცეს თავისუფლად გამოავლინოს თავისი ნება. ამ რაიონის ხალხს ეროვნული თვითგამორკვევის ისეთივე უფლება აქვს, როგორც ყოველ სხვა ხალხს. არ შეიძლება გამოინახოს რაიმე გამართლება იმათთვის, ვისაც არა სურს ანგარიში გაუწიოს და ანგარიშს არ უწევს პუშტუნისტანის ხალხის კანონიერ ეროვნულ ინტერესებს.

ჩვენს ურთიერთობას ავღანეთთან საფუძვლად უდევს მთელი რიგი ხელშეკრულებანი, რომლებიც დაიდო მას შემდეგ, რაც შეიქმნა დამოუკიდებელი ავღანეთის სახელმწიფო. ამ ხელშეკრულებათა შორის დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია სსრ კავშირისა და ავღანეთის 1931 წლის 24 ივნისის ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტისა და ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ.

ქაბულში ჩვენი ყოფნის დროს ჩვენსა და ავღანეთის მეფის მთავრობას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 10 წლით, ესე იგი 1966 წლამდე. ჩვენ შეთანხმდით, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგაც ხელშეკრულება ძალაში დარჩება, თუ არც ერთმა მხარემ არ მოითხოვა მისი მოქმედების შეწყვეტა. ამ მიზნით ქაბულში ხელმოწერილ იქნა სპეციალური ოქმი. ამ აქტს დიდი მნიშვნელობა აქვს და იმას მოწმობს, რომ ორივე მხარე სერიოზულად ეკიდება თავის ვალდებულებებს და განზრახული აქვს განავითაროს თავისი ურთიერთობა დადებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საფუძველზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნეიტრალიტეტისა და სხვა ქვეყნებთან კეთილი მეზობლობის პოლიტიკა, რასაც ავღანეთის მეფის მთავრობა ახორციელებს, ხელს უწყობს ავღანეთის სახელმწიფოს პოზიციების განმტკიცებას. პაკისტანისაგან განსხვავებით, რომელიც ბაღდადის სამხედრო ბლოკში მონაწილეობის გამო ძნელ საშინაო და საგარეოპოლიტიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ავღანეთს უეჭველად აქვს დიდი შესაძლებლობა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი და ეკონომიური განვითარებისათვის.

ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, პაკისტანს რომ შეეძლოს ისარგებლოს ასეთი შესაძლებლობებით. საბჭოთა კავშირს სურს პაკისტანთანაც ჰქონდეს არანაკლებ მეგობრული ურთიერთობა, ვიდრე აქვს ინდოეთთან, ბირმასა და ავღანეთთან, და ჩვენი ბრალი როდია, რომ ასეთი ურთიერთობა ჯერჯერობით არა გვაქვს. მაგრამ საბჭოთა მთავრობა იღებდა და მიიღებს ღონისძიებებს ჩვენი ურთიერთობის გასაუმჯობესებლად პაკისტანთანაც.

ავღანეთში ჩვენ გვქონდა მეტად ნაყოფიერი აზრთა გაზიარება ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის საკითხზე და ამ ურთიერთობის გაფართოებაზე. ავღანეთის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეებთან საუბრების შედეგად გამოვლინდა ორივე ქვეყანას შორის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების და, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ვაჭრობის გაფართოების ახალი შესაძლებლობანი.

მთავრობის დავალებით ჩვენ გამოვთქვით თანხმობა, რომ მივცეთ ავღანეთს გრძელვადიანი კრედიტი 100 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით.

ქაბულში ყოფნის დროს ჩვენ საბჭოთა მთავრობის სახელით ავღანეთის პრემიერ-მინისტრს ბატონ მუჰამედ დაუდს ვთხოვეთ ეწვიოს საბჭოთა კავშირს მისთვის მოხერხებულ დროს. ბატონი მუჰამედ დაუდი დათანხმდა ჩვენს მიწვევაზე და სურვილი გამოთქვა ჩამოვიდეს ჩვენს ქვეყანაში 1956 წელს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ბატონ მუჰამედ დაუდის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც ჩემი და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა ავღანეთში, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. (ტაში).

36 წლის მანძილზე, რაც გავიდა დამოუკიდებელი ავღანეთის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, ჩვენი და ავღანეთის ურთიერთობა შეიძლება იყოს ნამდვილი კეთილმეზობლობისა და მეგობრული თანამშრომლობის მაგალითი. ჩვენ განზრახული გვაქვს ავღანეთთან ურთიერთობა კვლავაც ისე წარვმართოთ, რომ იგი შეესაბამებოდეს ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

ჩვენ გვინდა ვიხილოთ ავღანეთი როგორც ეკონომიურად მტკიცე და პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფო და მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ ჩვენს პოლიტიკას ამ ქვეყნის მიმართ სრული გაგება ხვდებიან ავღანეთის მეფის მთავრობა და ავღანელი ხალხი.

ამხანაგო დეპუტატებო! ინდოეთთან, ბირმასა და ავღანეთთან ჩვენი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების გამარჯვებაა, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებაა.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი, ინდოეთი, ბირმა და ავღანეთი განსხვავდებიან თავიანთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემებით. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის და ხელს არ შეუშლის ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. ასეთი ურთიერთობის მტკიცე ბაზაა ცნობილი ხუთი პრინციპი, რომლებზეც უკვე ვილაპარაკე.

სწორედ ამ პრინციპებს უდებენ საფუძვლად თავიანთ ურთიერთობას, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი, ბირმა, ავღანეთი და ევროპის, აზიისა და აფრიკის მთელი რიგი სხვა სახელმწიფოები. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ამ პრინციპებს, რომლებიც სავსებით შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საფუძვლებს, და მიგვაჩნია, რომ რაც უფრო მეტი ქვეყანა გაიზიარებს და იხელმძღვანელებს ამ პრინციპებით, მით უფრო წარმატებით განვითარდება ნდობა სახელმწიფოთა შორის, მით უფრო სწრაფად შენელდება საერთაშორისო დაძაბულობა და განმტკიცდება მშვიდობა.

ჩვენმა მოგზაურობამ აზიის ქვეყნებში, როგორც ცნობილია, ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.

გამოვდიოდით რა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში გამართულ მიტინგებსა და კრებებზე, ჩვენ ვლაპარაკობდით ჩვენი ხალხის მეგობრულ გრძნობებზე ამ ქვეყნების ხალხების მიმართ, ჩვენი სახელმწიფოს ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკაზე. ჩვენ მივესალმებოდით ხალხებს, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური მონობის უღელი, და თანაგრძნობას ვუცხადებდით იმ ხალხებს, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიზატორთა უღელქვეშ არიან. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თავის გამოსვლებში მართლად და გულახდილად გამოთქვამდა ჩვენს თვალსაზრისს იმპერიალისტებისა და კოლონიზატორების მოქმედების შესახებ აზიაში, აფრიკაში, ყველგან, სადაც კი ისინი წინათ ბატონობდნენ ან სადაც ისინი ჯერ კიდევ ინარჩუნებენ თავიანთ ბატონობას.

უცხოეთის პრესიდან შეიძლება დავინახოთ, თუ რა მნიშვნელობას აძლევენ ჩვენს განცხადებებს აღმოსავლეთის ქვეყნებში. კერძოდ, პრესა აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული სამყაროს ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ გაბედავდა ეთქვა აზიის ხალხებისათვის ეს სიმართლე კოლონიურ სახელმწიფოთა შესახებ, რომ ასე მხოლოდ იმას შეუძლია ილაპარაკოს, ვინც იცავს ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობას და ეწევა აქტიურ ბრძოლას იმისათვის, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა თავისუფალი იყოს და მათი განვითარება თავისი საკუთარი გზით მიმდინარეობდეს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს პირდაპირ, გულახდილ სიტყვებს სიმპათიითა და თანაგრძნობით შეხვდნენ არა მარტო ისინი, ვისაც უშუალოდ მივმართავდით, ჩვენი სიტყვები შორს გაისმა ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ფარგლებს გარეთ. ეს სიტყვები გაიგონეს აზიისა და აფრიკის კონტინენტების სხვა ხალხებმა.

ამ ხალხებთან ერთად ჩვენი მოგზაურობის დადებითს შედეგებს მიესალმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საზოგადოებრიობა. ჩვენს მოგზაურობას იწონებენ მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები, ყველა ჩვენი მეგობარი. **(ტაში).**

მაგრამ ჩვენი ყოფნა აზიის ქვეყნებში ყველას როდი მოეწონა. ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ჩვენმა გამოსვლებმა, დელში, რანგუნსა და ქაბულში ხელმოწერილმა დოკუმენტებმა მეგობრობის შესახებ ზოგიერთი ქვეყნის რეაქციული პრესისა და ოფიციალური წარმომადგენლების უკმაყოფილება და გულისწყრომაც კი გამოიწვია. მათ არ მოსწონთ ჩვენი მეგობრობა ინდოეთთან, ბირმასა და ავღანეთთან. მაგრამ ჩვენ იგი ძალიან მოგვწონს, და განვამტკიცებთ ამ მეგობრობას, ისევე როგორც სხვა ქვეყნებთან მეგობრობასა და თანაშრომლობას. **(ხანგრძლივი ტაში).**

დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთ მოღვაწეს არ ეჯავნიკა ჩვენი გულახდილად გამოთქმული აზრები კოლონიზატორული პოლიტიკის შესახებ. მაგრამ ჩვენ, ისევე როგორც აზიისა და აფრიკის ხალხებს, კიდევ უფრო არ მოგვწონს თვით კოლონიზატორული პოლიტიკა. **(ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ ვიბრძოდით და კვლავაც ვიბრძოლებთ მის წინააღმდეგ, რადგან მიგვაჩნია, რომ კოლონიური წესები სამარცხვინოა თანამედროვე კაცობრიობისათვის და შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ პრინციპებთან. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი მოგზაურობის დროს დასავლეთის ქვეყნების პრესამ გამოაქვეყნა განცხადებანი, რომ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ჩვენს ჩასვლას თითქოს მიზნად ჰქონდა ზიანი მიეყენებინა ამ ქვეყნების ხალხებსა და დასავლეთის სახელმწიფოთა ხალხებს შორის ურთიერთობისათვის. ამგვარი მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ინდოეთთან, ბირმასა და ავღანეთთან საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება არა მარტო ვერ მიაყენებს რაიმე ზიანს ამ ქვეყნების ხალხების ურთიერთობას სხვა ხალხებთან, არამედ, პირიქით, ხელს შეუწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

შეიძლება ეს მთლად გასაგები არ იყოს იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ჩვეულებად გადაექცათ სამხედრო ბლოკებისა და პაქტების კატეგორიებით აზროვნება. მაგრამ ჩვენ სხვაგვარად ვუდგებით საბჭოთა კავშირისა და სხვა სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხს. ჩვენი აზრის იზიარებენ ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეებიც, რომლებიც, ისევე როგორც ჩვენ, იმის მომხრე არიან, რომ გაფართოვდეს საერთაშორისო თანამშრომლობა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. (ტაში).

ამხანაგო დეპუტატებო! ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ჩვენი მოგზაურობის შედეგები ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ ხალხთა შორის ურთიერთგაგების განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების რა დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა პირადი კონტაქტები. ჩვენ განზრახული გვაქვს კვლავაც ფართოდ გამოვიყენოთ ასეთი კონტაქტები.

მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით, რათა საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ხალხის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხალხებს გულთადი და გულთბილი მიღებისათვის. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

მხურვალე სალამს ვუძღვნით ამ სამი ქვეყნის ხალხებს — საბჭოთა კავშირის გულწრფელ მეგობრებს — და ვუსურვებთ მათ წარმატებებს თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

სულით და გულით ვუძღვნით მადლობას ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ბატონ ნერუს, რომელმაც დიდი ზრუნვა გამოიჩინა, რათა ინდოეთში ჩვენი ყოფნა ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო გაეხადა. **(ხანგრძლივი ტაში).**

გულითად მადლობას ვუძღვნით ბირმის პრემიერ-მინისტრს უ ნუს, რომელთანაც ჩვენ გულთბილი, მეგობრული ურთიერთობა დავამყარეთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

მხურვალე მადლობას ვუძღვნით ავღანეთის პრემიერ-მინისტრს ბატონ მუჰამედ დაუდს, რომელიც აქტიურად იცავს ავღანეთის დამოუკიდებლობასა და ნეიტრალიტეტს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა გადავუხადოთ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ პრასადს, ბირმის კავშირის პრეზიდენტს დოქტორ ბა უს, მის უდიდებულესობას ავღანეთის მეფეს მუჰამედ ზაჰირ შაჰს. **(ხანგრძლივი ტაში).**

მადლობას ვუძღვნით ამ ქვეყნების ყველა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, რომლებმაც ხელი შეუწყეს ჩვენი მოგზაურობის წარმატებას და მრავალმხრივი დახმარება გაგვიწიეს. **(ხანგრძლივი ტაში).**

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ საბჭოთა მთავრობა განუხრელად და მტკიცედ განახორციელებს ჩვენი მოგზაურობის დროს მიღწეულ ყველა შეთანხმებას ინდოეთთან, ბირმასა და ავღანეთთან.

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა საბჭოთა კავშირის, ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის მეგობრობა და თანამშრომლობა ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციათ იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მეორე გაერთიანებული სხდომა

29 დეკემბერს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მეოთხე ნოწყვეის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.

დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მეორე გაერთიანებული სხდომა.

დარბაზში ბევრი სტუმარია. მათ შორის არიან მოსკოვის ქარხნებისა და ფაბრიკების ხელმძღვანელები და ნოვატორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა არმიის მეომრები. საგანგებო დიპლომატიური კორპუსის, საბჭოთა და უცხოეთის პრესის ლოჟები. სხდომას ესწრებიან მოსკოვში გაღლილი ყოფილი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის კიმ დუ ბონის მეთაურობით, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვეით საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ირანის საპარლამენტო დელეგაციების წევრები.

ლოჟებში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ტ. კალენკოვ, ა. ა. ლებედევი, ვ. პ. მეფავნაძე, ზ. ს. ოლაროვა, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ე. ავხიმოვინი, პ. ტ. კომაროვი, მ. სულთანოვა, პ. გ. ტიჩინა.

მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. კირიჩენკო, პ. კ. პონომარენკო, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, რომლებსაც დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

თავმჯდომარეობს დეპუტატი ვ. ტ. ლაცისი. სიტყვა მოხსენებისათვის საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მოგზაურობის შესახებ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ ნ. ა. ბულგანინს. დეპუტატები და სტუმრები, ფეხზე მდგომნი, მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

ამხ. ბულგანინმა დაწვრილებით უამბო სესიას საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ყოფნაზე მეგობარ სახელმწიფოებში, იმაზე, თუ რა გულთბილი გრძნობებით ეკიდებიან ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხალხები საბჭოთა ხალხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მოგზაურობას მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

— ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ჩვენი მოგზაურობის უშუალო შედეგი, — თქვა ამხანაგმა ბულგანინმა, — იყო საბჭოთა კავშირისა და ამ ქვეყნების მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცება და განვითარება, საბჭოთა ხალხის შეხვედრმა დაახლოება დიდ ინდოელ ხალხთან, ბირმისა და ავღანეთის ხალხებთან. მაგრამ ამით როლი ამოიწურება მისი მნიშვნელობა.

მოგზაურობას მიეცა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა, რომელიც უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატება, რომ კვლავ დადასტურდა სოსწორე საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ლენინური პრინციპისა — სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპისა. მოგზაურობამ თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ეს პრინციპი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის განვითარების საიმედო საფუძველია.

ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების შემდეგ ჯრაელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. დეპუტატები და სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ მას. ყველანი ფეხზე დგებიან.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, რომელშიც აღძრული იყო დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები, დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით.

ილაპარაკა რა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მოგზაურობაზე, ამხ. ხრუშჩოვმა თქვა:

— ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი ვიზიტი ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში გამოიწვევდა კოლონიზატორთა უკმაყოფილებას, რომლებსაც ეშინოთ, რომ საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცება ქვეყნებთან, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მათ უღელქვეშ იყვნენ, ხელს შეუწყობს კოლონიური სახელმწიფოების პოზიციების შემდგომ შესუსტებას.

მაგრამ ბატონმა კოლონიზატორებმა მხოლოდ თავის თავს უნდა უსაყვედურონ.

ყველამ იცის, რომ სხვა სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის თანამშრომლობისა და მეგობრობის პრინციპები ძირეულად განსხვავდებიან იმ პრინციპებისაგან, რომლებსაც ეყრდნობა კოლონიზატორთა პოლიტიკა. საბჭოთა კავშირი, უჩვენებს რა ყველა ხალხისა და ქვეყნის, დიდი და პატარა ხალხისა და ქვეყნის ინტერესების დრმა გაგებისა და პატივისცემის მაგალითს, ემყარება იმას, რომ არ არიან არაერთანასწორუფლებიანი ან არასრულფასოვანი ხალხები.

განამტკიცებს რა მეგობრობას სხვა სახელმწიფოებთან, საბჭოთა კავშირი არ ახვევს მათ თავს თავის ნებას, არ უკარნახებს რაიმე წინასწარ პირობებს, როგორც ამას სჩადიან იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამასთან იგი არ ეძებს რაიმე განსაკუთრებულ სარგებლობას თავისთვის, არამედ ითვალისწინებს, რომ საქმე აქვს თანასწორუფლებიან პარტნორებთან, რომელთა ინტერესებს პატივს უნდა ეცემდეთ.

თვითეულ ხალხს უფლება აქვს ისე აშენოს თავისი ცხოვრება, როგორც მას სურს. ერთი ქვეყნის შიერ მეორის დამონება ან გაძარცვა უდიდესი უსამართლობა და სამარცხვინო მოგლეჯაა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანები მუდამ გულწრფელად ესწრაფოდნენ და ესწრაფვიან ყველა ქვეყანასთან მეგობრობას. მსოფლიოს ხალხთა მეგობრობა მძლავრი წყაროა ხალხთა ძალისა, რომელნიც გზას უღობავენ ახალი ომის გაჩაღებას.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხანაგმა ხრუშჩოვმა რწმენა გამოთქვა, რომ უმაღლესი საბჭო მოიწონებს ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში საბჭოთა დელეგაციის მოგზაურობის შედეგებს.

შესვენების შემდეგ დაიწყო კამათი ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ცნობათა გამო ინდოეთის რესპუბლიკაში, ბირმის კავშირსა და ავღანეთში მათი მოგზაურობის შესახებ.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ნ. ა. მიხაილოვს. ამხ. ბულგანინის მოხსენებაში და ამხ. ხრუშჩოვის გამოსვლაში, თქვა მან, მოცემულია ამომწურავი ანგარიში ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში მოგზაურობის შესახებ, გაშუქებულია საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის — ნათელი, მტკიცე, პრინციპული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის მოგზაურობამ დამაჯერებლად დაგვანახვა, რომ საბჭოთა კავშირის მეგობრობა დიდ ინდოელ ხალხთან, ბირმისა და ავღანეთის ხალხებთან, მეგობრობა და თანამშრომლობა, რაც საბჭოთა კავშირს აკავშირებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებთან, მშვიდობას მძლავრი ფაქტორია.

საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის პროგრესული ადამიანები მიესალმებიან და იწონებენ ამ მოგზაურობის შედეგებს, რადგან იგი მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელს აღფრთოვანებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის საბრძოლველად.

ტრიბუნაზეა დეპუტატი ა. ე. კორნეიჩუკი. მიმართავს რა ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს, იგი ამბობს:

— ჩვენ გვახარებს, რომ თვითეული თქვენი სიტყვა, სოციალიზმის ქვეყნის დიდი სიმართლის სიტყვა ჩასწვდა ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხალხთა მგზნებარე გულს, რომ ამ სიტყვას მაღალი შეფასება მისცეს სახელმწიფო მოღვაწეებმა და რომ მან სამეფოდამდე განამტკიცა ძმური მეგობრობის უდიდესი გრძნობა, დაფუძნებული ნამდვილ თანასწორობაზე, ჩაურევლობაზე, ერთმანეთისადმი ღრმა პატივისცემასა და უანგარო დახმარებაზე ხალხთა აყვავებისა და ბედნიერებისათვის.

მსოფლიოს ხალხებმა, განაცხადა შემდეგ ამხ. კორნეიჩუკმა, დიდად დააფასეს ის დიდი წვლილი, რომელიც საბჭოთა კავშირის, ინდოეთის, ბირმის და ავღანეთის მთავრობამ შეიტანეს მშვიდობის საქმეში. ამ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენამ განაამტკიცა „ჟენევის სულისკვეთება", ახალი ძლევრა ლაზვარი ჩასცა „ცივი ომის" მომხრეთა გაკოტრებულ პოლიტიკას.

დეპუტატმა შ. რ. რაშიდოვმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა ინდოეთის მოგზაურობაში, უამბო სესიას, თუ რა ენთუზიაზმით და გულწრფელი სიყვარულით ხვდებოდა ამ ქვეყნის ხალხი დიდი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს.

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობამ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში, ამბობს დეპუტატი რაშიდოვი, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში, მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. ინდოელი მეგობრები ჩვენთან საუბრებში აღნიშნავდნენ, რომ მათი ქვეყანა ძველთაგანვე განთქმულია, როგორც ოქროსა და ალმასების საშობლო. მაგრამ ახლა ეს რიდია მისი სიმდიდრე, ბაზგასმით აღნიშნავდნენ ისინი. ინდოეთის ყველაზე დიდი სიმდიდრეა მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დიდ ხალხებთან. დიე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის, ინდოეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ხალხებისა და სხვა ქვეყნების ხალხების მეგობრობა მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის!

დეპუტატი ა. ა. ფადეევი ლაპარაკობს იმაზე, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხუთ პრინციპს, რომლებითაც ამჟამად თავიანთ პოლიტიკაში ხელმძღვანელობენ ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიც არიან საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, თქვა ამხ. ფადეევმა, ვამაყობთ იმ მისიით, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ მოღვაწეებმა ამხანაგებმა ბულგანინმა და ხრუშჩოვმა შეასრულეს ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში, და სულით და გულით ვიწონებთ მათს საქმიანობას.

დეპუტატებმა ა. მ. პანკრატოვამ, ა. ი. სნეჩკუსმა, მ. ა. იბრაჰიმოვმა თავიანთ სიტყვებში აგრეთვე გამოთქვეს მხურვალე კმაყოფილება საბჭოთა მთავრობის დელეგაციის საქმიანობის გამო.

ამით მთავრდება კამათი დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე. დეპუტატ ბ. გ. გაფუროვის წინადადებით, რომელიც გამოვიდა ორივე პალატის საგარეო საქმეთა კომისიების სახელით, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში საბჭოთა დელეგაციის მოგზაურობის შედეგების შესახებ. დადგენილებაში ალნიშნულია, რომ უმაღლესი საბჭო იწონებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის საქმიანობას ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში მათი მოგზაურობის დროს, რადგან ეს საქმიანობა სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას და ხელს უწყობს ხალხთა მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის საქმის განმტკიცებას.

თავმჯდომარე ამბობს, რომ დღის წესრიგის ყველა საკითხი გადაჭრილია, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დახურულად აცხადებს. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია

28 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა კრემლში მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია სეიმის მარშლის იან დემშოვსკის მეთაურობით. დელეგაციას ახლდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვაცლავ ლევიკოვსკი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ე. კრიშტოფოვიჩი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომელი ა. ა. ბურობინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელი ი. ა. სტეპანოვი.

კ. ე. ვოროშილოვი გულთბილად და მეგობრულად მიესალმა პოლონელი ხალხის წარმომადგენლებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაციის ჩამოსვლა ცხადყოფს პოლონელი და საბჭოთა ხალხების ურთიერთგაგებასა და მტკიცე ძმურ მეგობრობას.

კ. ე. ვოროშილოვმა სთხოვა სტუმრებს გადაე

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑ᭭ᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ Კ. Ე. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲛᲐ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲔᲘᲛᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

(დასასრული)

იყენებენ პოლონეთის გემთმშენებლობაში. პოლონეთში ჩასვლის შემდეგ თქვა ამხ. სოლდეკმა, აუცილებლად გავუზიარებ ამხანაგებს თქვენს ქვეყანაში შეძენილ გამოცდილებას.

სეიმის დეპუტატმა მარიამ იაროხოვსკაიამ აღნიშნა, რომ, მისი აზრით, საბჭოთა კავშირში ქალებისათვის შექმნილია საუცხოო პირობები, მათ შეუძლიათ არა მარტო იმუშაონ, არამედ აგრეთვე ისწავლონ და დაისვენონ. მარიამ იაროხოვსკაიას სიტყვით, მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შესანიშნავმა პირობებმა, რომლებშიც ცხოვრობენ და შრომობენ სვერდლოვსკში ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდა მუშა ქალები.

საუბრის დასასრულს, რომელმაც დაახლოებით ერთ საათს გასტანა, კ. ე. ვოროშილოვმა თქვა, რომ პოლონეთის საპარლამენტო დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში, ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების, კულტურისა და მეცნიერების მიღწევების გაცნობა, აგრეთვე დელეგაციის შეხვედრები და მეგობრული საუბრები საბჭოთა ადამიანებთან ხელს უწყობენ საბჭოთა და პოლონელი ხალხების ძმური კავშირისა და მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რომელსაც თანმიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირი, სახალხო პოლონეთი და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნები, შხურვალე აღიარებას და სულ უფრო მზარდ მხარდაჭერას პოულობს მთელი მსოფლიოს ხალხებში.

კ. ე. ვოროშილოვმა შემდგომი წარმატებები უსურვა მოძმე პოლონელ ხალხს ახალი სოციალისტური პოლონეთის მშენებლობაში.

კ. ე. ვოროშილოვის საუბარი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაციის წევრებთან მიმდინარეობდა განსაკუთრებული გულთბილობისა და გულითადობის ვითარებაში.

დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-4 განყოფილების გამგე მ. ვ. ზიმიანინი, საბჭოთა და პოლონელი ჟურნალისტები.

(საკდესი).

ᲚᲐᲢᲕᲘᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲒᲝᲚᲝᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

27 დეკემბერს სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში გაიმართა ლატვიური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის საბოლოო კონცერტი. მოსკოველებთან ერთად კონცერტზე მოვიდნენ საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები. ესენი არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე.

მაყურებელნი ერთსულოვანი ტაშით ხვდებიან ლატვიის სსრ სახალხო არტისტს ლ. ბერზინს, რომელიც შთაგონებით კითხულობს ი. სუდრაბკალნის ლექსს, მიძღვნილს საბჭოთა სამშობლოსადმი. როგორც ამ მგზნებარე სტროფონების გაგრძელება გაისმის ა. ჟოლინსკის ნაწარმოები ე. ზალიტის სიტყვებზე „ჩემი სამშობლო შვენიერია“, რომელიც შეასრულეს მომღერალთა გაერთიანებულმა გუნდმა და ორკესტრმა.

დარბაზი მხურვალედ მიესალმა ლატვიის შესანიშნავ მომღერლებს. ა. ეიღინსკის „მქსოველის სიმღერას“ ასრულებს ლატვიის სსრ სახალხო არტისტი ე. პაკული. კანონის არიას ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზებიდან“ მღერის ლატვიის სსრ სახალხო არტისტი ა. ფრინბერგი. ღრმა გრძნობით არის გამსჭვალული ლატვიური ხალხური სიმღერა „რიგა დიმდ“, რომელსაც ასრულებს ლატვიის სსრ სახალხო არტისტი ა. დაშკოვი. საყოველთაო აღტაცებას იწვევს ახალგაზრდა მომღერლის, ლატვიის სსრ დამსახურებული არტისტის ე. გეინე-ვაგნერის საუცხოო ხმა. მან შეასრულა ლეონორას არია ვერდის ოპერა „ტრუბადურიდან“. დიდი ვოკალური ოსტატობა გამოიმჟღავნა ნათლიდედის არიოზოს შესრულებაში ჩაიკოვსკის ოპერა „ჯადოქარიდან“ სოლისტმა რ. მალინმა, რომელსაც ლამაზი ხმა აქვს. ლამაზად და შეწყობილად ჟღერდა სექსტეტი დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმურიდან“ ლატვიის სსრ სახალხო არტისტების ა. ლუდინის, ა. ვილუმანის, მომღერლების ე. ზვირგზდინის, ა. ვანაგის, ი. ფეიგელსონის, ა. ლეპუს შესრულებით. ტრიო ლატვიის სსრ დამსახურებული არტისტების ვ. დავიდონეს, ე. პლუკსნისა და პ. გრაველისის შემადგენლობით ოსტატურად ასრულებს ლატვიურ ხალხურ სიმღერას „გაცხრილე, ქალიშვილო, შვრია“. მოხდენილი იუმორით და კარგი მუსიკალური გემოვნებით გამსჭვალულია ვაჟთა ვოკალური კვარტეტის გამოსვლა ვ. სამსის ხელმძღვანელობით.

მაყურებლებმა მაღალი შეფასება მისცეს მუსიკოს-ინსტრუმენტალისტთა ოსტატობას. აი გაისმის ლატვიელი კომპოზიტორის იან მედინის „არია“, თითქოს შესრულებული უმაგალითო ძალის ვიოლონჩელით — უკრავს მუსიკოსთა უნისონი — ლატვიის სსრ დამსახურებული არტისტი ე. ბერზინსკი და მისი რვა მოწაფე. კეთილშობილური სისადავით და გამოსახველობით აჯადოებს მსმენელს ანსამბლის — მომღერალ ა. პილეს, ლატვიის სსრ დამსახურებული არტისტების ჟ. ბრუგანეს (ჭნარი), ე. ბერტოვსკის (ვიოლონჩელი) და ორგანისტ პ. სიპოლნიეკის გამოსვლა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „კერენესკის ბრძოლამ“ რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „თქმულება ქალაქ კიტეჟზე“, რომელიც შეასრულა ლატვიის რადიოს სიმფონიურმა ორკესტრმა ლატვიის სსრ სახალხო არტისტის ლ. ვიგნერის ხელმძღვანელობით.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ლატვიური ხალხური ხის ჩასაბერი საკრავების ანსამბლმა ა. ორდელოვსკის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეასრულა ხალხური პოლკა.

ლატვია განთქმულია თავისი მომღერალთა გუნდების კულტურით, რომელსაც ღრმა ფესვები აქვს ხალხურ შემოქმედებაში. ამ საუცხოო ხელოვნების ღირსეული წარმომადგენელია ლატვიის სსრ მომღერალთა სახელმწიფო გუნდი ი. დუბინის ხელმძღვანელობით. მაყურებლები უდიდესი ყურადღებით ისმენენ დარზინის „გადატეხილ ფიქვებს“ რაინისის სიტყვებზე, გლინკა-ბალაკირევის „ვენეციის ღამეს“, ლატვიურ ხალხურ სიმღერას „როგორ მივდიოდი ქალის სათხრავად“.

კონცერტზე ფართოდ იყო წარმოდგენილი რესპუბლიკის ქორეოგრაფიული ხელოვნება. ვალსი და სკერცი ბალეტიდან „ლიმა“ ლატვიის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ე. ტანგიევა-ბირზნიეკის დადგმით წარმატებით შეასრულეს ლატვიის სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ვ. ვიღინმა და ი. პანკრატმა, სოლისტებმა გ. რიტენბერგმა, ა. ლუმბერგმა, ი. გინტერემ და მ. ლიუპამ, აგრეთვე ლატვიის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს კულტურის სახლის მოცეკვავეთა კოლექტივმა.

ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა ა. სკულტეს ბალეტის „თავისუფლების საქმე“ ფინალი ე. ჩარგის დადგმით, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ლატვიის სსრ სახალხო არტისტი ა. პრიედე, სოლისტი ი. კოშკინი და ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები.

ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ რიგის მუსიკალური სკოლის სიმფონიური ორკესტრის გამოსვლას ამ სკოლის მოსწავლის ვიესტურს სტაპულნიკის ხელმძღვანელობით, რიგის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსვლას, რომლებმაც შეასრულეს პოლონეზი და მაზურკა, პატარა ვიოლონისტს ვალდის გირსკისს, რომელმაც შეასრულა ალიაბიევ-ვიეტანის პიესა „ბულბული“.

აიხადა მსუბუქი ოქროსფერი ფარდა. სცენაზეა ღია მწვანე ხეები, მდინარის ვერცხლისფერი ზოლი. აქ ტრადიციული სახალხო დღესასწაულია. ამ ლამაზ სცენაში მონაწილეობას იღებს მომღერალთა და მოცეკვავეთა ყველა თვითმოქმედი კოლექტივი.

მაყურებელნი ერთსულოვნად მიესალმებიან სოფლების ნიცის, ბარტის, ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის ხალხური მოცეკვავეებსა და მომღერლებს. გაისმის გულდების სიმღერა, ნარნარად ცეკვავენ ფერხულს. მხიარულ სიცილს იწვევს სახუმარო ცეკვა „ქალაშვილი ბიჭებს აცეკვებდა“ ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის ა. ბაუმანისა და სახელმწიფო ფილარმონიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობთა შესრულებით.

მაყურებლების წინაშეა ძველებური ქორწილის ეპიზოდები. დღესასწაული მთავრდება ხალისიანი ლატვიური ცეკვით „რუცა-ვიეტისი“.

პროგრამა დასასრულს უახლოვდება. მაყურებლებს თვალწინ წარმოუდგებათ მღელვარე ზღვის დიდებული სურათი, რომლის ფონზე მკაფიოდ გამოირჩევა ლატვიის სსრ სახელმწიფო გერბი. სცენაზეა კონცერტის ყველა მონაწილე. ზეიმურად გაისმის მ. ზარინის გუნდის სიმღერა „ახალი ნაპირისაკენ“ ფ. როკპელნისის სიტყვებზე. იგი ადიდებს ახალ ცხოვრებას, რომელშიც ხორციელდება ყველაზე გაბედული ოცნება, ადიდებს კომუნისტურ პარტიას.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს დირიჟორებმა ლატვიის სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ა. იანსონმა, ი. ხუნხენმა, ლატვიის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ტ. ვეიშმა, ე. ტონსმა, რ. ვლაზუპმა, ი. ჩუდნოვსკიმ, ხორმეისტერებმა — ლატვიის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. ვანაგმა და პ. კველდემ. პროგრამას ხელმძღვანელობდნენ ვ. არტმანე და გ. ლინდე. რეჟისორი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ამტმან-ბრიედტი. მხატვარი — ლატვიის სსრ სახალხო მხატვარი ა. ლაპინი.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. კ. პონომარენკო, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბულგანინი პ. ნ. პოსპელოვი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ე. კალნბერზნინი და ა. ი. პელშე, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. მ. ოზოლინი, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი.

დამსწრეთა შორის იყვნენ: საბჭოთა კავშირში გავლით მყოფი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის კიმ დუ ბონის მეთაურობით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოსული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია სეიმის მარშალის იან დემბოვსკის მეთაურობით და ირანის საპარლამენტო დელეგაცია სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოჰამედ საედის მეთაურობით. დარბაზში იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

კონცერტმა მაღალ მხატვრულ დონეზე ჩაიარა. იგი მკაფიოდ ასახავდა ლატვიური მუსიკალური კულტურის თავისებურებებს, მის მრავალფეროვანებას და ღრმა ხალხურობას.

(საკდესი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲚᲘᲑᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲡᲐᲑ᭭ᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

27 დეკემბერს მოსკოვიდან ლიბერაში სტოკჰოლმზე გავლით გაფრინდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. პ. ვოლკოვი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ლიბერიის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 1956 წლის 1-დან 10 იანვრამდე დაესწრება ოფიციალურ ცერემონიას იმის გამო, რომ ოფიციალურად დაიკავებენ თანამდებობას ლიბერიის რესპუბლიკის პრეზიდენტი უილიამ ვ. ს. ტაბმენი და ვიცე-პრეზიდენტი უილიამ რ. ტოლბერტი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. პალეცკისმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ე. ავხიმოვიჩმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ა. პ. კარასევმა, რ. ნ. მაჩულსკიმ, ა. ა. გენდრიპსონმა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ს. მ. ბუტუსოვმა, მოსკოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. ა. მკრტუმოვმა, ა. ნ. ცივილევამ, ს. ს. ნოვოჟილოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგემ გ. ტ. ზაიცევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ თ. თ. მოლოჩკოვმა.

(საკდესი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲛᲘᲛᲝᲬᲕᲚᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲑ᭭ᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲐᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

1955 წლის 28 დეკემბერს ბელგრადში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ფერიუბინმა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული შეთანხმებისა საჰაერო მიმოსვლის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1955 წლის 3 სექტემბერს და რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1955 წლის 28 ნოემბერს და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახალხო სკუშჩინის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს მიერ 1955 წლის 28 ნოემბერს.

ᲡᲐᲑ᭭ᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ — ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ

27 დეკემბერს მოსკოვიდან ინდოეთში გაემგზავრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ინდოეთის სამეცნიერო კონგრესის 43-ე სესიის მუშაობაში. დელეგაციის ხელმძღვანელია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი აკადემიკოსი ა. ვ. ტოპჩიევი.

დელეგაციაში შედიან აკადემიკოსები ს. ლ. სობოლევი და ი. პ. გერასიმოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტები კ. ა. ვლასოვი, ვ. პ. დიაჩენკო, მ. ი. აგოშკოვი და მ. ა. მარკოვი, პროფესორები კ. ა. სალეშჩევი, ს. ნ. კრიცკი, დ. მ. ფედოტოვი და სხვები.

საბჭოთა მეცნიერები კონგრესზე გააკეთებენ მოხსენებებს სხვადასხვა მეცნიერულ პრობლემაზე ქიმიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ეკონომიკის, ზოოლოგიის, სამთო საქმის, ფიზიკის დარგში. (საკდესი).

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თბილისის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგი. ტრიბუნაზეა 1905 წლის რევოლუციის მონაწილე ამხ. გ. ანთაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ

თბილისი წმიდად ინახავს 1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის გმირული ამბების ნათელ ხსოვნას. ქალაქის ახლანდელ ლენინის რაიონში — წინათ მუშათა განაპირა უბან ნაძალადევში — 1905 წლის 18 (31) დეკემბერს მოხდა მუშათა რაზმების შეიარაღებული შეტაკება მეფის ჯარებთან, რომლებსაც ტყვიამფრქვევები და ზარბაზნები ჰქონდათ. მუშათა რაზმები, მიუხედავად ჯარების უდიდესი რიცხობრივი უპირატესობისა, გამსაკუთრებული თავდადებით იბრძოდნენ. მეფის ჯარების წინააღმდეგ უთანასწორო სისხლსმღვრელ შეტაკებაში გმირულად დაიღუპა ცხრა რევოლუციონერი მუშა.

გუშინ, 29 დეკემბერს, მეფის ჯარების წინაღმდეგ შეიარაღებული მუშების ბრძოლის ადგილას, ყოფილ ხუდადოვის ტყეში, გაიმართა თბილისის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგი.

მშრომელთა კოლონებს თავს დაფრიალებს წითელი დროშები. გაისმის რევოლუციური სიმღერები. მიტინგზე შეიკრიბნენ რევოლუციური ბრძოლის ვეტერანები — 1905 წლის ამბების მონაწილეები, ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებისა და მშენებლობათა მუშები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, ინტელიგენციის, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები.

ტრიბუნაზე არიან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პარტიის ძველი წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ რუსეთის პირველ რევოლუციაში.

ქალაქის მშრომელთა მიტინგს, რომელიც მიეძღვნა მეფის თვითმპყრობელობის წინაღმდეგ ბრძოლაში 1905 წელს დაღუპული ცხრა რევოლუციონერი მუშის ხსოვნის აღსანიშნავად ობელისკის საძირკვლის საზეიმო ჩაყრას, ხსნის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. კ. მაღრაძე. დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, რომელსაც სცვლის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის მელოდია.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. ნ. ე. ჭახრაკიას. იგი ამბობს, რომ მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ამ დღეებში ზეიმით აღნიშნავენ 1905-1907 წლების რევოლუციის 50 წლისთავს. ეს იყო იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია, რომელაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა იმპერიალიზმს.

— დღეს თბილისს მშრომელნი, — ამბობს ამხ. ჭახრაკია, — შეიკრიბნენ აქ ამისათვის, რომ საძირკველი ჩაუყარონ ობელისკს თბილისის ცხრა მოწინავე რევოლუციონერი მუშის გიორგი ელიავას, გრიგოლ ჯაშის, იასე ცინცაძის, ვანო თვარაძის, ილიკო ნინიძის, ვანო ხუციურაულის, ტუხა ლაზიაშვილის, მიხა კალაძის, გერმანე დვალის ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც დაიღუპნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თბილისის პროლეტარიატის შეიარაღებული გამოსვლის დროს 1905 წლის დეკემბრის ისტორიულ დღეებში.

ორატორი ლაპარაკობს საქართველოს 1905 წლის რევოლუციური ამბების ისტორიაზე. რევოლუციური მოძრაობა საქართველოში განუყრელად იყო დაკავშირებული რუსეთის მუშებისა და გლეხების განმთავისუფლებელ ბრძოლასთან. მას დიდი ლენინის ბრძნული მითითებებით წარმართავდა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომლის შემქმნელი და ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფე და მისი უკეთესი საქმის განმგრძობი ი. ბ. სტალინი.

თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების პროლეტარიატმა, მშრომელებმა თავიანთი გმირული მონაწილეობით მეფის თვითმპყრობელობის წინაღმდეგ ბრძოლაში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიაში.

პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინაღმდეგ ვითარდებოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით. საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელებს ამ ბრძოლაში აღფრთოვანებდათ რუსეთის გმირი პროლეტარიატის მაგალითი.

სიტყვის დასასრულს ამხ. ჭახრაკია ამბობს, რომ კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი სამშობლოს მშრომელები სამი რევოლუციის გზით მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები ცოცხლობენ კომუნიზმის მშენებელი ჩვენი ხალხის შემოქმედებითს შრომაში.

ახლა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისათვის მზადების ღირსშესანიშნავი დღეებია. პარტიის ყრილობის აღსანიშნავ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებას სამშობლოს სასახელოდ ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ თბილისის მშრომელებიც.

მიტინგის მონაწილენი მჭუხარე ტაშით უპასუხებენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის პატივსაცემად, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად გამარჯვების შეძახილებს.


ᲐᲥ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲝᲑᲔᲚᲘᲡᲙᲘᲡ
ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘᲡ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ
ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘ
ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘ
18 (31) ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ 1905 ᲬᲚᲘᲡ
ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ
ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ.
ᲐᲥᲔᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲚᲘᲡ
ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘ
ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘ
ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘ
ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘ